140
1940 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟიორჟიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაისი

სიტყვები — ლ. მეგრელაძისა. მუსიკა — თ. შავერზაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ ვეცდები და იმას მივაღწევ, რომ მეტი ვიცოდე. მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც საჭიროა რაიმე მტკიცე ვიცოდეო, ვისაკენ არაფერი კომუნისტის მსგავსი არ გამოვა“

ვ. ი. ლენინი.

მ. ზოშჩენკო

ეროვ. ბიბ.

როგორ სწავლობდა ლენინი

ლენინი ძალიან კარგად სწავლობდა, თითქმის საუცხოოდ. მან ოქროს მედალი მიიღო გიმნაზიის დამთავრებისას.

და ალბათ უმაღლეს სასწავლებელშიც კარგად ისწავლიდა ის, მაგრამ, სამწუხაროდ, უფროსებმა გამორიცხეს უნივერსიტეტიდან, რადგანაც რევოლუციონერი იყო, ამას კი უფროსები ვერ იომნდნენ. და არც მეფე აძლევდა რევოლუციონერებს სწავლის უფლებას.

საერთოდ, ლენინს არ მისცეს უნივერსიტეტში სწავლის უფლება.

სხვა კაცი ლენინის ადგილას უმაღლესი განათლების გარეშე დარჩებოდა, მაგრამ ლენინმა ეს არ მოისურვა.

მან უთხრა დედას: „მე აუცილებლად დავამთავრებ უმაღლეს სკოლას“. დრო კი გადიოდა, ორი წელი გავიდა გამორიცხვის შემდეგ.

ბოლოს ლენინმა მისცა განცხადება მინისტრს, მან სთხოვა მიეცა მთელი უმაღლესი სკოლის გამოცდების ერთბაშად ჩაბარების უფლება.

მინისტრი განცვიფრდა და გაიფიქრა: „როგორ შესძლებს ის მთელი გამოცდა ერთბაშად დაიჭიროს, მას ხომ არ უსწავლია ღმაღლეს სკოლაში? კარგი, მე მას დავრთავ ნებას, მაგრამ ის, სულერთია, ვერ დაიჭერს გამოცდებს“.

მიიღო რა მინისტრის ნებართვა, ლენინმა გაძლიერებით დაიწყო მეცადინეობა.

ის მთელი დღეებით უჯდა წიგნებს, კითხულობდა, წერდა, სწავლობდა ენებს, თარგმნიდა და ასე შემდეგ.

მან გაზაფხულზე ბაღის ხშირაცხოვან ხეივანში მოაწყო კაბინეტი, მიწაში ჩაჩარგო მაგიდა და სკამი. ყოველ დილას მიდიოდა და იქ სრულ სიმარტოვეში სადილობამდე მეცადინეობდა. დასვენებისა და ბანაობის შემდეგ ის კვლავ სამ ან ოთხ საათს მეცადინეობდა, ხოლო საღამოთი, გასეირნებისა და ბანაობის შემდეგ, მშობლები მას კვლავ წიგნებთან ხედავდნენ.

და მშობლები კვირობდნენ, რამდენი მეცადინეობა შეეძლო მას, თანაც შიშობდნენ მის ჯანმრთელობაზე.

მაგრამ ლენინმა უთხრა მათ:

— ადამიანს შეუძლია განსაცვიფრებლად ბევრი ისწავლოს და იმუშაოს, თუ ის წესიერად ისვენებს

და, მართლაც, ლენინი წესიერად ისვენებდა, ის ერთ საათს მუშაობდა, შემდეგ აკეთებდა გიმნასტიკას, მერე ერთ ან ორ საათს წერდა და ამის შემდეგ მირბოდა მდინარეზე საბანაოდ.

შემდეგ, დაისვენებდა რა, ან გაისეირნებდა ტყეში, უბრუნდებოდა წიგნებს და კვლავ სწავლობდა.

თავის საზაფხულო კაბინეტთან, მაგიდის ახლოს, მოაწყო ღერძი და დროდადრო ვარჯიშობდა მასზე.

კარგ ამინდში ის დღეში ორჯერ ან სამჯერ ბანაობდა. ის ისე ცურაობდა, რომ ყველას აკვირვებდა.

ერთი მისი ნაცნობი იგონებდა ლენინის წარსულს, ამბობდა, რომ შეიეცარიაში იყო ძლიერ საშიში ტბა, სადაც მუდმივ იღრჩობოდნენ ადამიანები. ეს ტბა ძლიერ ღრმა იყო. მას ცივი დინება და მორევი ჰქონდა, მაგრამ ლენინი უშიშრად ცურაობდა ამ ტბაში.

ამ ნაცნობმა ერთხელ უთხრა მას, რომ ფრთხილად ყოფილიყო — აქ იღრჩობიან ადამიანებიო.

— თქვენ ამბობთ იღრჩობიანო? — ჰკითხა ლენინმა. — არა უშავს, ჩვენ არ დავიღრჩობით.

და აქვე გაცურა ისე შორს, რომ ძლივს შეიძლებოდა მისი დანახვა. და აი, ფიზიკულტურისა და ბანაობის წყალობით, წესიერი დასვენების მეშვეობით, ლენინმა შეძლო ბევრი მუშაობა და შეძლო მომზადებულიყო მთელი უმაღლესი სკოლისათვის ერთბაშად.

ის თითქმის ერთი წელი ასე დაკავებული სწავლობდა და ამ ხნის განმავლობაში შეძლო გაევლო უნივერსიტეტის მთელი კურსი, ის, რაც სხვებმა ოთხ წელიწადში შეისწავლეს.

და ყველა პროფესორმა უთხრა მას:

— ეს განსაცვიფრებელია. თქვენ ხომ არ სწავლობდით უნივერსიტეტში და არც ისმენდით ჩვენს ლექციებს, როგორღა შეძელით ასე საუცხოოდ მომზადებულიყავით? უთუოდ, თქვენ ვინმე გეხმარებოდათ.

ლენინმა უპასუხა:

— არა, მე მარტო ვმეცადინეობდი.

და მაშინ პროფესორები განცვიფრდნენ უფრო მეტად, ხოლო მინისტრმა განცვიფრებისაგან ხელები გაშალა.

მაგრამ პროფესორებმა და მინისტრმა არ იცოდნენ, რომ, უდიდესი ნიჭისა და საუცხოო უნარიანობის გარდა, ლენინს გააჩნდა მუშაობის უდიდესი უნარიც. ეს მისი მუშაობის უნარიანობა დამოკიდებული იყო ფიზკულტურაზე და წესიერ დასვენებაზე,

აი, რატომ დაამთავრა ასეთი მშვენიერი წარმატებით ლენინმა სწავლა.

თარგმნა რუსულიდან ...ან-მა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლ. მაიაკოვსკი

სიმღერა ელვა

ლურჯტალღოვან ზღვის გადაღმა,
ცხრა მთას იქით,
ჩვენთან ერთად

გადაფრინდეს ელვა — ნაღმად
ეს სიმღერა პიონერთა.
ყველა ერთად, მთელი კრებით
კოცონებთან
დავსხდეთ ირგვლივ:

მილიონი ძმები,
დები,

წითელფერი ჩვენი რიგი.
რაზმი ჩინელ პიონერთა
გმირულ ლახვარს
ახლა ლესავს,

ჩინელ მუშის
ბავშვთან ერთად

მახვილს დავკრავთ
ბოროტ ვეშაპს!

წინ წაგვიძეხ საბრძოლველად,
რომ დავიცვათ,
რაც რომ გვიყვარს,

ჩემო დედა,
დიდო დედა,

ჩემო კარგო რესპუბლიკა!
ჩვენ ვიზრდებით წლითიწლობით,
შენ, ბებერო

დედამიწავ,

ავაყვავეთ უდაბნონი,
გამარჯვება ჩვენი იცან!
აბიბინდა
ყველგან ყანა,
ყვავილნარობს მთა და-ბარი,
ჩვენი მამა,
კარგი მამა—

ეს მუშათა კლასი არი;
ჩვენთან ერთად

რადგან დგებით
თქვენც, ბებრებო,
გვითხართ ბანი;



დროა,
ჩემო ბაბუ — ბები,
რომ ისწავლოთ ანბანი!
ერთად მჭიდროდ
და წინ ბრძოლით —
ხედავთ, მტერი გარს გვარტყია!
ჩვენ ერთი გვყავს
წინამძღოლი:
ამხანაგი კომპარტია!

მთარგმნელი **მიქელ პატარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასული წლის ბოლოს, მოსკოვში, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, ესტენდა ანტიფაშისტური საბავშვო მწერალი ანდერსენ ნექსე. ამისა „გოგობას“ — დიტე ანდერსენ ნექსეს დასწერა წერილი საბჭოთა კავშირის ბავშვებისადმი. ქვემოდ ვბეჭდავთ დიტეს წერილს.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ რომ იცოდეთ, როგორი მოხარული ვარ, რომ მომიხერხდა საბჭოთა კავშირში ყოფნა. აქ კარგია, და მხიარულებაა!

ჩემი სკოლელები, მე უთუოდ არ დამიჯერებენ, როგორ ცხოვრობთ თქვენ აქ! დანიაში ბავშვებისათვის არავითარი გასართობი არ არის. აი, უკვე ცამეტი წლისა ვარ და ჯერ ნამდვილ თეატრში არა ვყოფილვარ. საბავშვო თეატრები ჩვენში არ არის, ხოლო მთელ კოპენჰაგენში ერთადერთ: „მეფეთა თეატრშიც“ ბავშვებს არ უშვებენ. და არც ყველა მოზრდილს შეუძლია მოხვდეს იქ. ბილეთები ამ თეატრში საშინელი ძვირია, ჩვენი ნუშების ჯიბეები ვერ უძლებენ მას. მაგრამ თუ მუშას რაიმე სასწაულის წყალობით, მოუწევს კიდეც ბილეთის მიღება „მეფეთა თეატრში“ სულერთია, მას იქ არ შეუშვებენ იმისათვის, რომ ის ჩაცმული არ არის ისე მრავალფეროვნად და მდიდრულად, როგორც დანარჩენი საზოგადოება.

ჩვენს სკოლაში გვაქვს სცენა, და ჩვენ იქ ვდგამთ სხვადასხვა ვაარ პიესებს. ვთამაშობთ, რასაკვირველია, ჩვენე. ჩვენ ძალიან გვინდა ვნახოთ ნამდვილი მსახიობების თამაში. მაგრამ რამდენჯერაც არ ვთხოვეთ, ისინი ჩვენთან მაინც არ მოიწვიეს.

თქვენ, ბავშვებო, ბევრი თქვენი გაზეთი და ჟურნალები გაქვთ, ჩვენ კი მთელ დანიაში ორი საბავშო ჟურნალი გვაქვს: ერთი—მონარქიული, მეორე საეკლესიო. მართალია, კომუნისტიურ გაზეთშიც არის ხოლმე „გვერდი ბავშვებისათვის“, მაგრამ მხოლოდ ერთი გვერდი და ისიც მხოლოდ ერთხელ კვირაში!

ზოგიერთი მასწავლებლები გვიამბობენ საბჭოთა კავშირზე ყოველგვარ არარსებულს, და მე ამისათვის ყოველთვის ვკამათობ ხოლმე მათთან. როგორღაც მასწავლებელმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ ცდილობს გამოიწვიოს ომი. ხოლო შშვიდობიანობის დროს რუსები იმასღა აკეთებენ, რომ კუშვავენ ერთიმეორეს. მე ვერ მოვითმინე და ყასიდად ხმამაღლა ჩავახვიე. მასწავლებელმა ამისათვის გაკვეთილის დამთავრებამდე დაფასთან დამაყენა და სთქვა:

—არ ვარგა, როცა პატარა გოგოები არა მათ საქმეებში ყოფენ ცხვირს.

დასასენებაზე კი ბავშვები შემომეხვივნენ და ამბობდნენ:

—იმან მართალი არა თქვა და თვით გასცა თავისი თავი იმით, რომ დაფასთან დაგაყენა. შენ ხომ შეგეძლო ნამდვილადაც დაგეხვილებინა“. ახლა იმ მასწავლებელს არაფერ აღარ უჯერებს, როდესაც ის ცუდს ლაპარაკობს საბჭოთა კავშირზე.

აი, მეორე მასწავლებელმა მოგვცა ნაწარმოები თემაზე: „ებრაელთა საკითხი“. მამამ ბევრი წიგნი მომცა, მე კარგად მოვემზადე და დავწერე იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში ებრაელები ცხოვრობენ რუსი და სხვა ხალხების თანაბრად. ავწერე, როგორ მშვიდად და ამაყად შრომობენ ისინი ბირობიჯანის ველებზე. მასწავლებელმა შეფასებაც კი არ მისცა ჩემს შეშრომედებას, ხოლოდ თავი გაიქნია და კვლავ გადმოკრა „გრძელცხვირა გოგონების შესახებ“. ბავშვები კი მაშინვე მიხვდნენ, რომ მე ებრაელების შესახებ რაღაცა კარგი დავწერე.

ოგივე მეორდება ყველა გაკვეთილზე, სადაც კი ვვხვდება სიტყვა „რუსები“ ან „საბჭოთა“.

გეოგრაფიის მასწავლებელმა გამიძახა დაფასთან ევროპულ სახელმწიფოთა საზღვრების საჩვენებლად. ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე მე არ მიველი საბჭოთა კავშირამდე. მასწავლებელმა სწრაფად შემაწყვეტინა.

— სწორე არ არის! — მან სტაცა ხელი საჩვენებელ ჯოხს და გაავლო საზღვარი სადღაც, კინაღამ კიევსა და მინსკთან.

მე საშინლად შევშფოთდი და მთელი კლასის წინაშე ვუთხარი მას, რომ ვცდები მე კი არა, არამედ ის, რადგანაც მე ვისწავლე საბჭოთა კავშირის საზღვრები იმ რუკით, რომელიც მამას აქვს გაკრული და რომელიც მან ჩამოიტანა საბჭოთა კავშირიდან. ის საბჭოთა გეოგრაფებმა გააკეთეს, მათ კი, ალბათ, უკეთ იციან თავისი ქვეყნის საზღვრები, ვიდრე რომელიმე სხვამ. მასწავლებელი გაწყრა და „გამორკვევისათვის“ გამოიძახა დედაჩემი.

და აი ახლა, როდესაც მოვხვდი თქვენს ქვეყანაში, მე ვხედავ, რომ ამის შესახებ მართალს მხოლოდ მამა მეუბნებოდა, და ეს კი იმიტომ, რომ მას ძალიან უყვარს თქვენი მხარე და თქვენი ხალხი. მე ძალიან მინდა, ბავშვებო, მიმოწერა მქონდეს თქვენთან. აუცილებლად მიპასუხეთ ამ წერილზე.

ყველას, ყველას სალამი!

დიტე ანდერსენ ნექსე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არნო ონელი

ველად გაველ

ველად გაველ. ყაყაჩოებს
ამშვენებს აქ ლალის ფერი,
ბედნიერი ხმით იმღერის
სიო, მთიდან მონაბერი.

ბრუყინავს ზეცა, ველიც ხარობს,
ნაკადულის დუდუნს ვისმენ;
ჩვენისთანა მზე და ლხენა
გაჩნია განა ვისმე?

ყვავილები... ყვავილები...
ყველგან მზეა, ყველგან დარი;
არსად,
არსად,
არსად არი
ჩემს სამშობლოს შესადარი!

სანდრო ქლენჭი

გაზაფხული სანაპირო ბაღში

შემოსულა ბაღში სიობო,
ხეს ყლორტები გაშლია,
ყვავილებსაც მოვლებია
ჩუქურთმების არშია...



სანაპიროს სიკეკლუცეს
რა სიტურფე ხლებია,
ბაღში ბურჯად ამართული —
ეს ბელადის მხრებია...

გულმაც მუდამ იყვავილოს
ფერად თაიგულებად,
რა მომაწყენს, როცა ვუმღერ
ასეთ გაზაფხულებას!

და მჩქეფარე მტკვრის ტალღებიც
ბელადს შემოსკქერიან,
არსიანით კასპის ზღვამდე
„შვიდ გურჯანელს“ მღერიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲢᲠᲘᲙᲘ

ᲗᲣᲠᲛᲐᲜ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(გაგრძელება)

4.

თოვდა.

ცვიოდა და ცვიოდა ქათქათა ფიფქები. ფეხქვეშ საამურად ჭრიჭუნებდა ახალი თოვლი.

სკოლის წინ ყმაწვილები მოგროვილყვნენ, თოვლს აგუნდავებდნენ და ერთმანეთს ესროდნენ.

მომსვლელები შორიდანვე აიწევდნენ საყელოს, ღრმად ჩამლაგდნენ თავს და რაც შეეძლოთ გარბოდნენ შესასვლელისაკენ.

ერთი ალიაქოთი ატყდებოდა გოგონების გამოჩენაზე. ყველა მიესეოდა მათ და უწყალოდ აყრიდნენ თოვლს.

გუდა ძალიან ცდილობდა: ხელთათმანებით შეჭურვილიყო და გუნდები მზად ეჭირა.

— აბა, გუდავ, მოდიან!

— კავალერს! კავალერს! — ბრძანა გუდამ და თუშურქუდიანს გაუსწორდა.

გუნდები სტაკვასავით წამოვიდა.

მომსვლელები გაქცევას შეეცადნენ, მაგრამ გუდამ იმარჯვა, გოგონა დაიჭირა და კისერში ჩააყარა თოვლი. ორნაწნავიანმა გაიწია, ფეხი დაუსხლტა და დაეცა. ლოყებდაბერილმა მოგუნდავეთ დრო იხელთა: გულმკერდი აუესო ფიფქით.

თუშურქუდიანმა მელნის ბოთლი დააგდო, ეცა გუდას, შეანჯღრია, მენჯზე მოიგდო და გუდას ფეხები ჯერ ისევ ჰაერში თამაშობდნენ, რომ თავი თოვლში იყო ჩაფლული.

ირგვლივ სიცილი ატყდა.

სიკო წამოხტა, ბოთლს მივარდა, მაგრამ გატეხილი აღმოჩნდა. უკმაყოფილოდ გადაადგა, მელნით დასვრილი ხელები თოვლში გაიწმინდა.

გუდა წამოხტა. სიკო შესასვლელში ფეხებს იწმენდდა, თინა კი პალტოზე მიკრული თოვლს აშორებდა.

არ ესიამოვნა წაქცეულს, წამოდგა და ბრაზით წამოიძახა:

— თუ მოვალებდი ხელსა!

გულიანი ხარხარი განმეორდა.

ზარის ხმამ თოვლის თეძაზე ლაღად ჩაიჯირითა. მერვეკლასელები ადგილებზე დალაგდნენ.

— Heute werden wir eine Kontrollarbeit schreiben![1] გამოაცხადა მასწავლებელმა.

დღეს ზენო იყო მორიგე და მოვალეობის შესრულებას შეუდგა: კარადიდან სამელნეები გამოიღო. გაოცებით წამოიძახა:

— მასწავლებელო!

— Was ist geschehen?[2] — იკითხა მასწავლებელმა, მაგრამ ცარცით გაჩურთული სამელნეები რომ დინახა, გერმანულს თავი მიანება და ქართულს მიჰმართა.

— ვინ ქნა ეს?

მოწაფეები წამოიშალნენ. საჩოთირო სიჩუმე ჩამოვარდა.

— პაიჭაძე, შენ ჩაიდინე ეს სისაძაგლე?

— ვისაც მელანში აქვს ხელები გათუკნული, ის იზამდა! — წამოიძახა გუდამ და თვალი სიკოსაკენ გააპარა.

სიკომ ხელები დამალა.

— აბა, ასწიეთ ხელები! — ბრძანა მასწავლებელმა.

ერთის გარდა ყველამ შეასრულა ბრძანება.

— ხელაშვილო, ასწიე ხელები!

სიკო დაემორჩილა. მარჯვენა ხელი მელანში იყო მოსვრილი.

— სირცხვილია. აბა, რით ვწეროთ? ხომ გაგვიცდა გაკვეთილი!

— მე არ მიქნია.

— გაჩუმდი, თავს იმართლებ!

კოჭლი თედო წამოდგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მასწავლებლის მრისხანებისა მოერიდა და ისევ დაჯდა: წელანდელი შემთხვევა მოაგონდა, გარეთ მელნის ბოთლი რომ გაუტყდა სიკოს.

მორიგემ მეზობელი კლასიდან მოიტანა სამელნეები.

წერა დაიწყო.

— გუდავ, შენ ჩაიდინე და სიკოს კი დაამბრალე? — წამოაყვედრა ჩურჩულით ნუცამ და გვერდში მუჯლუგუნი გაჰკრა.

— Schweigen, was ist dort passiert?[3] — დაიყვირა მასწავლებელმა.

---

[1] დღეს საკონტროლო სამუშაოს დაგწერთ!

[2] რა მოხდა?

[3] წყნარად, რა მოხდა მანდ?

დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 3-ში.

— ნუცა ხელს მიშლის!—იჩივლა გუდამ.

ნუცა მეორე მერხზე გადასვეს. გუდამ პატიოსანი კაცის პოზა მიიღო. უხაროდა, რომ თავისი გაკეთებული ონინ სიკოს გადაბარალა. მაინც გული ეთანაღრებოდა, რომ კარგად ვერ გადაუსადა სამაგიერო; წელანდელი მარცხი ახლაც არ აძლევდა მოსვენებას, ღვარძლიანად გაჰყურებდა სიკოს.

ცოტახანს შემდეგ გუდას წინ ჩოჩქოლი ატყდა. მასწავლებელი უხმოდ მივიდა.

— თმა მომაჭრა! — ბოლმით თქვა გოგონამ და მოჭრილი ნაწნავი მეორეს დაატოლა.

— შენ ჩაიდინე? — მიუბრუნდა გუდას!

— არა! — გაჯიუტდა გუდა.

— აბა რა უნდა ამ თმებს შენს მერხზე?

გუდა გაჩუმდა.

—არც სწერ? გარეთ გადი!

— არ გავალ.

— როგორ! მასწავლებელი გეუბნები! დაგვტოვე ახლავე! —აწეული ხმით დაიძახა განცვიფრებულმა მასწავლებელმა.



გუდა დირექტორთან დაიბარეს

— ჩემი ნებაა და არ გავალ!—უტიფრად შეაჩერდა გუდა მასწავლებელს. გაბრაზებულმა მასწავლებელმა ნერვიულად დაიწყო სიარული.

გუდა დაჯდა, ამაყად მიმოიხედა.

— წერეთ, რას მიყურებთ!—მიმართა კლასს მასწავლებელმა.

მოწაფეებმა განაგრძეს მუშაობა.

ზარი დაირეკა.

გუდა დირექტორთან დაიბარეს. მერვეკლასელებში მითქმა-მოთქმა დაიწყო. მიხეილი წუხლილით ეუბნებოდა სიკოს:

— მაგ ბიჭს რაღაცა უნდა მოვუხერხოთ, კომკავშირში შემოსვლას აპირებს და საქციელი კი ქუჩის ბიჭისა აქვს... არც სწავლობს...

5

იმ საღამოს სკოლა არაჩვეულებრივად იყო განათებული. კედლებს მხიარულ მოციკვავეთა გამოსახულებანი ამშვენებდა. ლუსტრებზე ნაირნაირი ქაღალდის ზოლები ეკიდა. მოსწავლეები ახალ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი.

დარბაზში ჟრიამული იდგა. მოუთმენელი ყმაწვილები ტაშს უკრავდნენ და აქა-იქ ნერვიულად იძახოდნენ: „დროა! დროა“!

კოჭლი თედო ახალ კოსტიუმში გამოწყობილიყო, ამხანაგებს გატაცებით ელაპარაკებოდა.

თინაც იქ იყო, წითელი კაბა ეცვა, ... ლად დაწყობილი ნაოჭით.

— იცით, დღეს სიკო მღერის, — თქვა თედომ.

— სიკო?

— სიკო?—გაოცებით დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— სიმღერა იცის?

— იქნებ გვატყუებს? ისმოდა კითხვები.

ირგვლივ მაყურებელთა ყაყანი იდგა.

ზარის ხმამ ჟრიამული აიყოლა და ფარდა აიხადა.

— ჩვენის სკოლის მომღერალთა გუნდი, დავით სირბილაძის ხელმძღვანელობით! — გამოაცხადა კონფერანსიემ.

ფორმაში გამოწყობილი მომღერლები ჩამწკრივდნენ.

სიწყნარე ჩამოვარდა.

კულისებში კი ჩორჩოლი იდგა. ერთმანეთს ძლივს სცილდებოდნენ. დაბალი ბოქაული თავდს ესაუბრებოდა, ჟანდარმი ულვაშზე იქერდა ხელს, რომ არ ჩამოვარდნოდა. ვიღაცა ჩოხას მიათრევდა და ხანჯალს აჩეჩებდა მეორეს.

სცენაზე ქუხდა მძლავრი სიმღერა და ბანს აძლევდა ხალხით სავსე დარბაზი.

ცოტახანს შემდეგ წარმოდგენა დაიწყო: თავადს, ბოქაულსა და ჟანდარმებს ფაციფუცი შეუდგათ.

კარგახანს ისმოდა „პრისტავის“ ყვირილი და დეზების ჩხარუნი. თავადმაც დაბოხებული ხმით მოათავა სათქმელი...

— ფარდა, ფარდა! — დაიძახა რეჟისორმა.

ფარდის ოსტატი პირღია მიშტერებოდა ბრაზმორეულ ბოქაულს და უკვირდა: ფეხებს რომ აბრახუნებს, რატომ არ ლაპარაკობსო?

დარბაზში ხითხითი ატყდა, სცენაზე კი უადგილო სიჩუმემ იმატა.

— ფარდა, შე ლენჩო, შენა! — დაიძახა გაცოფებულმა რეჟისორმა, ეცა ფარდას და დარცხვენილი მსახიობები შემდეგი მარცხისაგან იხსნა.

ბოქაული და თავადი შეშფოთებული გამოცვივდნენ და მთელი თავიანთი რისხვა ფარდის ოსტატზე ამოანთხიეს.

მაყურებლები ახმაურდნენ, მიმოსვლა გახშირდა.

ორი წუთის შემდეგ სწრაფად აიხადა ფარდა. ქრიამული მიწყდა.

— მერვეკლასელი მოწაფეები: პაიკაძე ნიკოლოზი და ლორთქიფანიძე თინა, შეასრულებენ ლეკურს, — გამოაცხადა კონფერანსიემ.

რომელიღაც კუთხეში ტაში დაუკრეს.

გუდა და თინა მოემზადნენ. უცებ მათ ახლოს სიკო გაჩნდა, სცენის უკანა მხარეზე დოლი და სალამური ახმაურდა.

გუდა წამოიჭიმა, სიკოს წინ დაუდგა, ფაფახი შუბლზე წამოიცურა და ის იყო უნდა გადამტარიყო, რომ რაღაცას წამოჰკრა ფეხი და მორგვივით გაგორდა სცენაზე.

ხალხში სიცილი აბორგდა. გუდა მკვირცხლად წამოხტა, ქუდი აიტაცა და ჩამოუარა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა, ნირი შეეშალა. ქამდაქამ, როცა კი დროს იხელთებდა, ღვარძლიანად გაჰყურებდა სიკოს.

მინაზდა მუსიკის ხმა და თინაც გადავიდა წრეში.

მინელდა სიცილი, გოგონას ცეკვამ ყველას მზერა მოიტაცა.

გუდა ხანდახან უკან ჩამორჩებოდა, სირბილზე გადადიოდა, მისთრევდა ჩოხა და არაჩვეულებრივად ულაყლაყებდა ხანჯალი. ამ დროს სიცილი ქარიშხალივით გადაურბენდა დარბაზს.

როცა დაასრულეს ცეკვა, გუდა აჩქარებით გამოვარდა, სიკოსთან მიიჭრა და ბრაზით შესძახა:

— ფეხს რომ მიდებ, შენ ჩემზე კარგად იცეკვებ თუ?

— შენ ზღურბლს წამოჰკარ ფეხი.

— ვიცი, ვიცი, რასაც წამოვკარი! — მუქარით თქვა გუდამ.

ამ დროს მკაფიოდ გაისმა:

— მერვეკლასელი სიკო ხელაშვილი შეასრულებს ურმულს!

სინათლე ჩააქრეს. სიჩუმე ჩამოწვა.

მომღერალი სცენაზე გამოვიდა. ის იყო უნდა დაეწყო, რომ ვიღაცა დაეჯახა. ძლივს შეიკავა თავი, ხელი ქარქაშზე მოუხვდა. გუდა იცნო. კომბინატის მდივნის ნელი ჯავრობა გაიგონა, ისიც შეამჩნია, როგორ გაათრიეს ჩოხოსანი თავდამსხმელი.

სიბნელეში კანტიკუნტი ტაშისცემა გაისმა. თანდათან მინელდა ხმაური. დაძაბული დუმილი გამეფდა.

ტყის ფოთოლთა შრიალივით ნაზი ხმა დაიღვარა.

დუმილი შემოესია ხალხმრავალ დარბაზს.

ხმა გაიზარდა, დატკბა, სინარნარე შეემატა და ვაჟკაცური იერიც დაერთო. მაყურებლები გაირინდნენ.

მთაო გად-მი-შვდ, გად-მიშ-ვი-ი-ი,

რა ნისლი მო-გიხ-ვე-ვია-ა-ა-ა.

ისმოდა ხავერდოვან ბგერათა ნაკადი. მოსჩქეფდა უზადო რიტმელობა და სილბილე, ადიოდა ზევით, ეფრქვეოდა კედლებს, უკუ ბრუნდებოდა ისევ და, ჰარმონიულ ყიღერათა ნამსხვრევებად ქცეული, მსმენელთა ყურში ნაზი შარიშურით იფერფლებოდა.

დარბაზს ქრუანტელი მოედვა. აქა-იქ შვების ოხვრა გაისმა და სიხარულით ცრემლი აკიაფდა მრავალ თვალთა უბეში.

მიიფერფლა სიმღერა. მინაზდა ხმა და მიწყდა უკანასკნელი ამოძახილი.

იგრიალა ტაშმა — აზანზარდა დარბაზი, აზრიალდა ფანჯრის მინები და თითქმის ჭერშაც რყევა დაიწყო.

აანთეს სინათლე.

სცენაზე შავხალათიანი ბიჭი გამოჩნდა. ახალი ძალით ამოვარდა ტაშის ქარიშხალი, კიეინი მოსკდა მსმენელთა გულიდან.

სიკო დაიბნა, არ იცოდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. ზანზარებდა დარბაზი, გრიალებდა ტაში და ისმოდა შეძახილები:

— ბის! ბის!

თინამ ხელები დაიწითლა, თედო ფანჯარაზე იდგა, ჯოხს იქნევდა და გაჰკიოდა „ბის, ბის!“

მიხეილიც ყვიროდა.

ქართულის მასწავლებელი ისე უკრავდა ტაშს, რომ რამდენიმეჯერ სათვალეები გადმოუვარდა.

სიმღერა მეორედ დაიწყო.

თუმცა გრძნობა აკლდა ამჯერად მის ურმულს, მაგრამ მაინც ტაშის ქარიშხლით დაჯილდოეს მომღერალი.

სიკომ ვერ მოასწრო გარეთ გამოსვლა, რომ ამხანაგები შემოესივენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ, ჰკოცნიდნენ, ჩქმეტავდნენ, ხელს უფათურებდნენ.

კოჟლმა თედომ, სახეში რომ ვერ მოასწრო, კისერში აკოცა.

მხოლოდ გუდა იყურებოდა შორიდან, გული ეწვოდა ონავარს, ფეხი დამიდვამ, ბუტბუტებდა ღვარძლიანად.

ირგვლივ მერვეკლასელები ხარხარებდნენ, გამარჯვებას ზეიმობდნენ.

დარბაზიდან ხალხმა დაიწყო დენა. მაღე სკოლა დაცარიელდა.

გავიდა ხანი.

სკოლა ისევ ნირშეუცვლელად იდგა. მოწაფეები ცოცხლად დარბოდნენ ტალანებში. ზარი ისევ ძველებურად რეკდა ყამდაყამ.

დირექტორი დღეს აღელვებული ჩანდა, მკვახე ტონით ტუქსავდა თავჩაქინდრულ ბენოს.

— იმის მაგივრად, რომ ხეირიანად იმეცადინო, წერილებს წერ გაკვეთილის დროს.

დირექტორმა მაგიდაზე დაადგა ქაღალდის ნაგლეჯი.

ბენომ თავისი ნაწერი იცნო.

„თინა, ამ საღამოს ჩემთან მოდი და სიკო მოიყვანე. თუ ჩემი იუზგარა ხარ, შეისრულე ეს თხოვნა“.

გოგონამ თავი დახარა, თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა და ტირილით თქვა:

— მეორედ აღარ ვიზამ...

— წადი გაკვეთილზე!

ჭაღარამ თვალი გააყოლა ტირილით მიმავალ გოგონას.

— შეიძლება? — იკითხა ვიღაცა მანდილოსანმა.

დირექტორმა სავარძელი დაუდგა ახალმოსულს.

— მე პაიჭაძის დედა გახლავარ.

წამოწოლებული სახე და თითების ნერვული მოძრაობა ამეღვენებდა დედის შინაგან მღელვარებას.

— მე მინდოდა თქვენ ვაჟზე ზოგი რამ მეთქვა, — თქვა დირექტორმა და შემდეგ ხმას დაუწია, დიდხანს ელაპარაკა მანდილოსანს.

— როგორ? სკოლაში არ მოდის, აცდენს? — წამოიძახა ცოტახნის დუმილის შემდეგ მანდილოსანმა.

— დიახ. აცდენს, გუშინ სულ არ მოსულა.

— რას მეუბნებით, გუშინ წამოვიდა, წიგნებიც წამოიღო!

— მჯერა, რომ დროზე წამოვიდა, წიგნებიც წამოიღო, მაგრამ სკოლაში არ მოსულა. მაშ სხვაგან დასეირნობს.

— როგორ, ჩემი ვაჟი? შეუძლებელია! — აღელდა მშობელი და წამოდგა, შემდეგ ღიმილით თქვა:

— ბიდონს ვიხდი ჩემი შვილის ქცევაზე, გმადლობთ.

დირექტორს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, ქალი გავიდა.

საათს შეხედა. ზარის დრო იყო.

გაზეთი აიღო, უაზროდ ჩაათვალიერა. თვალწინ ისევ პაიჭაძე წარმოუდგა. გაზეთი ძველ ადგილზე დაადგა.

ხმაურმა იმატა. მასწავლებლები შემოვიდნენ.

— ჩუმია, მასწავლებელო, ჩუმი! — შემოსძახა რომელიღაც მოსწავლემ.

დირექტორი უხმოდ გავიდა. ცოტახნის შემდეგ მოჩხუბრები შემოიყვანა. მაგიდის ერთ კუთხეში გუდა შეჩერდა, მღელვარებისაგან მკერდი ებერებოდა, ჩასისხლიანებულ თვალებს ქორიდან აბრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პირდაპირ კი საყელოჩამოხეული სიკო იდგა. ცხვირპირიდან სისხლი სდიოდა. გუდა მომპარავად გაჰყურებდა სისხლში მოსვრილ მოწინააღმდეგეს და გულში ზეიმობდა.

— ექიმთან წადი! — უთხრა დირექტორმა სიკოს და თეიღოს მიუბრუნდა: — რაზე მოუვიდათ ჩხუბი?

— მე ჩემთვის ვიდექი და ხელაშვილი დამეჯახა, — ჩაეჩხირა გუდა.

— ჩუმად, შენ არ გეკითხებიან!

თეიღო წინ წამოდგა.

— მოწაფეები ბურთსა თამაშობდნენ, მე და პაიჭაძე მოშორებით ვიდექით, ბურთი ჩვენკენ გამოგორდა, სიკო გამოვდევნა და მხარი მოუხვდა პაიჭაძის ხელზე...

— კი არ მოუხვდა, დამეტაკა! — ჩაურთო გუდამ.

— მერე ამან ცემა დაუწყო.

— მან თვითონ შემომკრა! — გაცხარდა ონავარი.

დირექტორმა პაიჭაძის გარდა ყველა დაითხოვა, კარი ჩაკეტა და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გამოუშვა...

ორმა დღემ შეუჭჩნევლად გაირბინა. პაიჭაძე აღარ ჩანდა სკოლაში. შეწუხდნენ მეგობრები. ყველაზე ძლიერ სიკო წუხდა; მიხეილიც მალმალე კითხულობდა. კომიტეტს მდივანსაც უთხრეს. ნანობდნენ ყმაწვილები, ხვალ კომკავშირის წევრად უნდა მიეღოთ და ის კი არსად ჩანდა.

დასვენებაზე სიკომ და მიხეილმა თინა გაიხმეს. მიხეილმა საქმიანი კილოთი უთხრა:

— ყველაზე ძლიერ შენ გცემს პატივს, თუ მოიყვან, ისევ შენ... გუდასთან უნდა წახვიდე და ხვალ კრებაზე მოიყვანო.

თინამ სიკოს შეხედა, მის თვალებშიც ეს ამოიკითხა.

გაკვეთილების შემდეგ გოგონა გუდას ესაუბრებოდა.

— ხვალ კრებაა. შენი მიღების საკითხი დგას, უნდა მოხვიდე სკოლაში. აუცილებლად მოდი გელოდებით! — თქვა გოგონამ და გამოემშვიდობა.

— წვალ, მაგრამ კოკავშირის კრებაზე რა მიმიყვანს, იქ ხომ ტყავს გამაძრობენ. შენი მიღების საკითხი დგასო... გაგრია იქ არ იქნება? ისე გამლანძღავს, რომ...

გოღას სიკო წარმოუდგა თვალწინ, ბოღმით ჩაიკრა გულში ხელი და წამოიძახა:

— რატომ მაგრად არა ეცემე! თუ ჩავიგდე კიდევ ხელში!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ᲠᲝᲛᲔᲝᲜ ᲥᲝᲩᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

1.

მოსკოვი ახალგაზრდა ქალაქია თბილისთან შედარებით, ისტორიაში იგი პირველად 1147 წელს იხსენიება. ამ წელს სუზდალის მთავარმა იური დოლგორუკიმ ნადიმი გაუმართა თავის მოკავშირეს, ნოვგოროდის თავად სვიატოსლავ სვევრსკის, იმ ალაგას, სადაც დღეს კრემლი დგას. ᲥᲐᲕᲗᲐᲛᲬᲔᲠᲔᲚᲘ მოგვითხრობს: ამ წელს აქ „დიდი სადილი“ გაიმართაო.

რვაასი წლის წინათ იმ ალაგას, სადაც ახლა მოსკოვია, ხშირი ტყე იყო. აქ დიოდა ლამაზი მდინარე მოსკოვი. მდინარის ნაპირებზე გაშენებული იყო სოფლები. ეს არემარე მდიდარ ბოიარინ სტეფანე კუჩკას ეკუთვნოდა. სუზდალის მთავარს იური მოეწონა ბოიარინ კუჩკას მამული, მოკლა კუჩკა, მითვისა მისი სამფლობელო და გააშენა აქ ქალაქი. ეს მოხდა 1156 წელს. ქალაქს მდინარის სახელი ეწოდა: მოსკოვი. ხალხი კი დიდხანს ეძახდა კუჩკოვს.

არსებობის პირველსავე საუკუნეში მოსკოვს, როგორც საერთოდ რუსეთს, დიდი უბედურება დაატყდა თავს. რუსეთს შემოესია თათართა ურდო ბათო ყაენის მეთაურობით. ბათო ყაენმა მრავალი ქალაქი აოხრა და მოსკოვიც დაწვა, ხოლო მცხოვრებნი ერთიან ამოჟლეტა.

ეს ის დრო იყო, როცა რუსეთი ცალ-ცალკე სამთავროებად იყო დაყოფილი. სამთავროები ერთმანეთს მტრობდნენ, არბევდნენ. თათრები სარგებლობდნენ ამით და თარეშითა და მძიმე ხარკით სულს ხდიდნენ რუსეთს.

გადაწვის შემდეგ მოსკოვი ჩქარა გაშენდა, დასახლდა. მოსკოვს ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. მოსკოვი რუსეთის შუაგულს იყო, სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე, ამიტომ იგი ჩქარა გაიზარდა და აქაურმა თავადმა განდიდება დაიწყო. მოსკოვის თავადებმა თანდათანობით შემოიერთეს გარემომცველი ქალაქები და მე-14 საუკუნეში ისე გაძლიერდნენ, რომ ტვერის დიდ მთავარსაც დაუწყეს ბრძოლა პირველობაზე. ამ დროს მოსკოვში ივანე კალიტა იჯდა მთავრად. თათართა ხანმა ივანეს დაუმტკიცა რუსეთის მთავრებზე პირველობა და მიანიჭა ხარკის აკრეფის უფლება. ივანეც მარჯვედ შეუდგა საქმეს, კრეფდა ხარკს, აგზავნიდა ურდოში, მაგრამ თავის თავსაც არ ივიწყებდა, კარგა მოზრდილ ლუქმას თავისათვის იტოვებდა. ივანე გამდიდრდა და მას კალიტა უწოდეს, რაც ნიშნავს „ოქროს ტომარას“.

ივანემ გაამაგრა მოსკოვი და ბევრი ახალი შენობა ააგო. მოსკოვისაკენ იწყეს დენა თავადებმა, ეაჭრებმა, ხელოსნებმა. ჩქარა მიტროპოლიტმაც თავისი ტახტი მოსკოვში გადაიტანა. ამ გარემოებამ მოსკოვის მნიშვნელობა ძალზე ასწია ხალხის თვალში, რადგან მაშინდელი რუსეთი მეტად მორწმუნე იყო.

ივანე კალიტა ჭკვიანი კაცი იყო. ის თანდათანობით იერთებდა სუსტ თავადებს, მიწებს, აფარათოებდა მოსკოვის სამთავროს. მაშინდელი მოწინავე ადამიანები მიუხდნენ მას და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ რუსეთის გაერთიანებაში. ისტო-

თათრები უახლოვდებოდნენ მოსკოვს.

რიამ და მადლიერმა ხალხმა კალიტას „რუსეთის მიწის შემკრები“ უწოდა. ამნაირად, რუსი ხალხის ნაციონალური გაერთიანებისა და ეროვნული დამოუკიდებელობის იდეა პირველად მოსკოვში დაიბადა და განმტკიცდა.

მე-14 საუკუნეშივე დიდი უბედურება დაატყდა მოსკოვს. 1365 წელს გვალვიანი ზაფხული დადგა და საშინელი ცხელი ქარი ქროდა. ერთ-ერთ ეკლესიაში ცეცხლი გაჩნდა და მოსკოვს ხანძარი მოედო. „ხანძარმა დაღუბა ყველაფერი, ქალაქისაგან აღარაფერი დარჩა“, – ამბობს მემატიანე.

მოსკოვის მთავარმა დიმიტრიმ, კალიტას შვილიშვილმა, ქვის სიმაგრის აგება ბრძანა. ამრიგად გაშენდა პირველი ქვის სიმაგრე კრემლი, რომელიც გადაიქცა როგორც მოსკოვის, ისე მთელი რუსეთის ბურჯად. კრემლი წარმოიშვა რუსული სიტყვისაგან „კრემენ“, რაც ნიშნავს კაჟს. ხალხის აზრით, მოსკოვის კედელი კაჟივით მაგარი იყო.

მოსკოვი კვლავ გაიფო ხალხით. მოსკოვში გახსნეს თოფხანა. მოსკოვი გაიმართა წელში და ეროვნული დამოუკიდებელობის დროშა აიფრიალა, თათრობა „ოქროს ურდოს“ ომი გამოეცხადა. რუსეთის დიდი ნაწილი დადგა მოსკოვის დროშის ქვეშ. მოსკოვის მთავარმა დიმიტრიმ შეკრიბა 150.000 ჯარისკაცი და 1300 წელს კულიკის მინდორზე, დონის ნაპირას, დაამარცხა მტერი, ხოლო სრული განთავისუფლება თათრებისაგან მოსკოვმა ასი წლის შემდეგ მოახერხა და რუსეთის დედაქალაქიც გახდა. ეს იოანე მესამის დროს მოხდა. მის დროს გამოიწვიეს უცხოეთიდან ხუროთმოძღვრები და ოსტატები და ფრიად განამშვენეს კრემლი.

კრემლის გარშემო დიდი და ვრცელი ბაზრები გაშენდა — რაბათი. ამ რაბათს კიტაი — ქალაქი ეწოდა. კიტა რუსულად ერთგვარ ბალახს ეწოდება, რომლისაგან ბაწარს გრეხდნენ. მოსკოვის არემარე დაფარული იყო ამ კიტა-ბალახით.

ქვის გალავანი ამ კიტა-ქალაქსაც შემოავლეს და, ამნაირად, მთელი მოსკოვი ერთ დიდ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა.

იოანე მრისხანე.

2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია მოსკოვის დამსახურება რუსეთის წინაშე. მოსკოვში დაიბადა ეროვნული გაერთიანების იდეა, მოსკოვშივე დაიბადა ზღვაზე გასვლის იდეა. გაერთიანებულ რუსეთს ევროპოვა ტყე და ტრამალი. ქვეყანა მდიდარი იყო, ხალხი ახალგაზრდა, საჭირო გახდა მოწინავე ქვეყნებთან კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა, საჭირო გახდა ზღვა. მოსკოვიც იოანე მრისხანის დროს ხანგრძლივ ომებს აწარმოებს ლივონიასთან ზღვაზე გასასვლელად. მოსკოვმა ჯერ კასპის ზღვაზე გაიკაფა გზა, შემოიერთა ყაზანი და ასტრახანი. ყაზანის აღების აღსანიშნავად აგებულ იქნა შესანიშნავი ძეული ხუროთმოძღვრებისა — ვასილ ნეტარის ტაძარი, კრემლის გარეთ. ეს ტაძარი დაცულია დღემდე და გვხიბლავს თავისი აღნაგობითა და ფერადი გუმბათებით. კასპის ზღვაზე გასვლის შემდეგ მოსკოვი ბალტიის ზღვისაკენ მიბრუნდა. ძნელი გახდა ბალტიის ზღვის შემომტკიცება ახალგაზრდა მოსკოვისათვის, ეს დიადი ამოცანა მხოლოდ პეტრე დიდმა შეასრულა, მანამ კი მოსკოვმა დიდი შფოთი და რბევა განიცადა, მთელი მე-16 საუკუნე სავსეა შფოთით, ომიანობით და შინაგანი რეფორმებით გამოწვეული აღრეკვით.

იოანე მრისხანის შემდეგ მოსკოვის ტახტზე ბორის გოდუნოვი დაჯდა. გოდუნოვი ავანტურისტმა ცრუ დიმიტრიმ შეცვალა, ცრუდიმიტრი მოკლეს კრემლში. ახლა მოსკოვს ტუშინის ქურდი მიადგა. ამავე დროს ხდება გლეხთა დიდი აჯანყება სახალხო გმირის ივანე ბოლოტნიკოვის მეთაურობით. ბოლოტნიკოვი დამარცხდა. გლეხები ვერ განთავისუფლდნენ მემამულეთა უღლისაგან. ძველ უბედურებას ახალი დაერთო. პოლონელები შევიდნენ მოსკოვში და დაიწყეს ენის, რჯულის, ხალხის შეურაცხყოფა. მოსკოვი გაიფორებით შეებრძოლა ინტერვენტებს. ცნობილი პოეტარსკი პირველად მოსკოველ ხალხთან ერთად შეებრძოლა პოლონელ ინტერვენტებს მოსკოვის ქუჩებში. პოლონელების გადევნის შემდეგ მოსკოვში ახალი დინასტია გამეფდა — რომანოვებისა. მაგრამ მოსკოვი

არ დაწყნარდა. ეს აჯანყებები ისტორიაში ცნობილია „მარილის ჯანყისა“ და „სპილენძის ჯანყის“ სახელწოდებით. ხალხი ეცა ბოიარინების სასახლეებს და აიწოყა. ბოიარინებმა ხალხის რისხვის ასაკილებლად მოსკოს ცეცხლი წუკიდეს. ასე დიდი იყო ბოიარინების სიძულვილი მშრომელი ხალხისადმი... მეფე ალექსი რომანოვმა სასახლეში ჩაალაგა ორივე აჯანყება. მეთაურების ნაწილს თავები დააყრევინეს წითელ მოედანზე, ნაწილი მოსკვა-მდინარეში ჩაალრჩვეს, ნაწილი კი გახურებული შანთით დადაღეს. ლოყაზე ამოუწვეს ნიშანი „ბ“ — ბუნტოვშჩიკი. თვით მოსკოვს ახალი სახელი დაერქვა „მოჯანყე მოსკოვი“. ასეთი იყო მოსკოვის ხალხი: გარეშე მტრებს ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა, შინაგან მტერს — ბოიარინებს — სოციალური თავისუფლებისათვის.

თაეარების ურდოსაგან, პოლონეთისაგან, ლიეონიისაგან განთავისუფლებამ მოსკოვს ეროვნული სიამაყის გრძნობა განუმტკიცა.



3.

ძველ მოსკოვს უყვარდა, ჭამა, ლოცვა და კრივი. ბოიარინების მოსკოვში რვაჯერ ჰაძნენ დღეში, სამჯერ ეძღნათ და განუწყვეტლივ ლოცულობდნენ. რეკნენ ეკლესიის ზარებს და გაყინულ მოსკვა-მდინარეზე სისხლიან კრივს მართავდნენ. მოსკოვის ბოიარინებს უყვარდათ სიმდიდრის გამოჩენა. ტანზე რამდენიმე ქურქს იცვამდნენ, მარხილში რამდენიმე ცხენს ებამდნენ, შინ რამდენიმე ასეული მოსამსახურე ჰყავდათ: ასიდან ათასამდე შინამოსამსახურე.

მოსკოვში უყვარდათ გრძელი ტანსაცმელი და გრძელი წვერი. ბოიარინების „ფერიაზი“ ხუცის ანაფორასავით გრძელი და სრული იყო. წვერი სქელი, გრძელი — ღიპამდე. არ უყვარდა მოსკოვს ჩქარი ტემპი, ზანტი იყო ბოიარინების მოსკოვი. ბოიარინების მოსკოვმა აჩქარება იცოდა მხოლოდ გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში. როცა სტეფანე რაზინის აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო, ბოიარინების მოსკოვი დაფაცურდა, რაზინი შეიპყრო, მოსკოვში ჩამოიყვანა და თავი მოჰკვეთა.

მოსკოვის მყუდროებას პეტრე დიდმა მოუღო ბოლო. პეტრემ დაიჭირა ბალტიის ზღვის ნაპირები და ახალი სატახტო ქალაქი — პეტერბურგი — გააშენა. ახალ ქალაქში ახლებურად იწყეს ცხოვრება, მოკლე და მარჯვე ტანისამოსი ჩაიცვეს, წვერი გაიპარსეს, სწავლას მიჰყვეს ხელი. მოსკოველმა ბოიარინებმა წინააღმდეგობა გასწიეს: არც „ფერიაზს“ გავიხდით, არც წვერს მოვიპარსავთო.

სასაცილო ამბები ხდებოდა მაშინდელ მოსკოვის ქუჩებში.

აი მიდის შინაყმებით გარშემორტყმული [illegible] წვერა, „ფერიაზში“ გამოწყობილი ბოიარინი. ქუჩაში დადგან პეტრეს აგენტები, მათ ხელში დიდი და გრძელი მაკრატელი უჭირავთ. როგორც კი დაინახავენ ძველი ყაიდის ბოიარინს, მივარდებიან, წააჭრიან ანაფორის კალთებს და წვერსაც მიაყოლებენ.

შემოღებულ იქნა წვერის გადასახადი: წვერის ტარებისათვის ეიპარა ათ თუმანს: ხუთ ბეგარას, ბოიარინი — ექვს თუმანს, ხელისნები და მდაბიო ხალხი — სამ თუმანს. მაგრამ ხშირად ბეგარის გადახდაც არ შველოდა: წვერს მაინც სჭრიდნენ.

ბოიარინებსა და ვაჭრებს წვერი ისე უყვარდათ, რომ მოჭრილ წვერს უბით ატარებდნენ და ანდერძს ტოვებდნენ: წვერი კუბოში ჩამატანეთო.

ბოლოსა და ბოლოს ძველმა ვერ გაუძლო ახალს, თანდათანობით დამოკლდა „ფერიაზი“, შეიპარსეს წვერი, გადახალისდა ცხოვრება და მოსკოვმა ახალი სახე მიიღო. მოსკოვმა ევროპისკენ პეტრეს მიერ გაჭრილ ფანჯარაში გაიხედა და სწავლასაც მიჰყო ხელი.

პირველი უნივერსიტეტი მოსკოვში 1755 წელს დაარსდა, კრემლის გვერდით. მისი დაარსების ინიციატორი იყო დიდი რუსი მეცნიერი მიხეილ ლომონოსოვი. პირველ წელს ეურიდიულსა და სამედიცინო ფაკულტეტზე თითო პროფესორი და თითო სტუდენტი ირიცხებოდა.

აი როგორ აგვიწერს უნივერსიტეტის გამოცდებს ცნობილი რუსი მწერალი ფონვიზინი: ჩვენ, ამბობს ფონვიზინი, შეხანიშნავი მასწავლებელი გვყავდა ლათინურ ენაში. გამოცდების წინ ასე დაგვარიგა:

— შეხედეთ ჩემს პიჯაკს, ზედ ხუთი ღილია. შეხედეთ ჩემ კაბოლს, ზედ ოთხი ღილია. ესენი უბრალო ღილები არ გეგონოთ, არამედ თქვენი და ჩემი სახელის გუშაგებია. როცა შეგეკითხებით: რომელი ბრუნებისაა ესა თუ ის სიტყვა, მიყურეთ. თუ ხელი პირველ ღილზე მოვიკიდე, სიტყვა პირველი ბრუნებისა იქნება. თუ მეორეზე, თამამად მიპასუხეთ — მეორისა-თქო. უფლილებამიც ასე მიპასუხეთ. თუ ხელი კაბოლის პირველ ღილს მოვიკიდე, სიტყვა პირველი უფლილებისა იქნება, თუ მეოთხეს — მეოთხისა...

რუსი მეომარი სრულ სამარ საჭურველში.

არც გეოგრაფიაში ჭქონიათ მაშინდელ სტუდენტებს დიდი ცოდნა. იგივე ფონვიზინი მოგვითხრობს:

— გეოგრაფიის გამოცდაზე

ზარბაზანი „ცარ-პუშკა“.

გამოვცხადდი. მასწავლებელი ეკითხება ერთს: ვოლგა რომელ ზღვას ერთვის?

— შავ ზღვას, — უპასუხა სტუდენტმა.

— თეთრ ზღვას, — უპასუხა მეორემ.

— არ ვიცი, ღმერთმანი! — გულწრფელად ვუპასუხე მე.

ჩემი პასუხი სხვებზე უფრო მოეწონათ თავისი გულწრფელობით და ერთხმად მომისაჯეს წარმატების სიგელი. . .

ამის შემდეგ გადაჭარბებულად როდი გვეჩვენება იმავე ფონვიზინის პიესის გმირის აზრი:

— რა აზნაურის საქმეა გეოგრაფია? ჩაჯექ ეტლში და სადაც გინდა, იქ მიგიყვანს მეეტლე. . .

მიუხედავად აზნაურთა ასეთი ჩამორჩენილობისა, მაინც დიდი ხალხი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მაშინ მოსკოვში: დიდი მეცნიერი მიხეილ ლომონოსოვი, ცნობილი ჟურნალისტი ნოვიკოვი, დიდი მწერლები კარამზინი, დერჟავინი, შესანიშნავი ხუროთმოძღვრები ბაჟენოვი და კაჯაკოვი. ხალხის საუკეთესო შვილები დღემარად იმას ცდილობდნენ, რომ ხალხში სწავლა-განათლება შეეტანათ, წიგნი გაეცალებინათ და მოსკოვი საუკეთესო შენობებით დაემშვენებინათ.

იმავე ხანებში, ეკატერინე მეორის დროს აშენდა მოსკოვში პირველი ქარხნები. მაშინდელი ქარხანა ცოხეს წარმოადგენდა. მუშა 14 საათს მუშაობდა, 10 საათს იქვე ატარებდა: ან ეძინა, ან იჯდა, ან ძალით ალოკვინებდნენ. ქუჩაში გამოსვლა მუშას არ შეეძლო. ქარხანაში საწოლი ოთახები არ იყო და მუშებს ზედ დაზგაზე ეძინათ. ეს დაზგები მუშებისათვის სამუშაო ადგილიც იყო, საწოლიც, სასადილოც და. . . სამშობიარო ლოგინიც მუშაქალებისათვის. ამ დაზგაზევე კვდებოდნენ. . . არც იმ ქარხნებში იყო უკეთესი მდგომარეობა, სადაც, აქა-იქ საცხოვრებელი ოთახები იყო. ქარხნის კარები მუდამ ჩაკეტილი იყო და ქარხნის გალავანში მოძწყვდეული მუშებისათვის მთელი ქვეყანა ქარხნის ტერიტორიითა და ქარხნის თავზე ცის ნაკვრით განისაზღვრებოდა. დიდი სიხარული იყო, როცა ქარხნის თავზე მოსკოვში გამოკაკუნებული ჭილკვავები გადაიფრენდნენ. ასეთი ქარხნები ჩნდებოდა XVIII ცხვი მე-18 საუკუნის ბოლოს 106-ს ზღვევდა მოსკოვში.

ქარხნების ჯოჯოხეთურმა პირობებმა მუშებში პროტესტი გამოიწვია და გამოცხადდა პირველი გაფიცვა. შეადგენეს მოთხოვნები და წარუდგინეს მთავრობას. მთავრობამ მეთაურები გაამათრახა და ციტოლოგიაში გაგზავნა. დანარჩენები ჯაჭვით მიაბეს დაზგებზე. . .

ასეთი იყო ბატონყმური მოსკოვი, საშინელი კონტრასტების ქალაქი. ერთის მხრივ მდიდართა ფუფუნება, მეორეს მხრივ მშრომელთა აუტანელი ცხოვრება. მაგრამ განა მარტო მოსკოვი იყო ასეთი? მთელი რუსეთი ასეთი იყო მაშინ და როდესაც ემელიანე პუგაჩოვი სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ ხალხს მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, მთავრობამ საუკეთესო ჯარები და საუკეთესო სარდლები ძიუსია პუგაჩოვს, შეიპყრო და მოსკოვში ოთხად გაჭრა. მოსკოვში პუგაჩოვის დასჯა სიმბოლური იყო. მოსკოვი გული იყო რუსეთისა და მემამულეებმა სწორედ ამ გულზე დააკლეს ხალხს მისი მეთაური.

4.

დიდი ქარტეხილი გადაეტანა მოსკოვმა 1812 წ.

ამ წელს შეიესია რუსეთს და დაიპყრა მოსკოვი ნაპოლეონმა. მან კარგად იცოდა მოსკოვის მნიშვნელობა, ამიტომ ამბობდა ის:

— მე რომ კიევი დავიპყრო, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს ფეხებში ჩავავალო ხელი. პეტერბურგი რომ დავიპყრო, ეს იმას ნიშნავს, კისერში ვსწვდე რუსეთს. მაგრამ მოსკოვი რომ დავიპყრო, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს გულში ჩავსცე ლახვარი.

დიდი ჯარით და პრწყინვალე ამალით გარშემორტყმული ნაპოლეონი მრავალგუმბათიან ქალაქს მიადგა. მას ეგონდებოდა, თუ როგორ მოიხარეს მის წინაშე ქედი მსოფლიო ქალაქებმა: ალექსანდრიამ, რომმა, ვენეციამ, ვენამ, ბერლინმა, ლისაბონმა, ვარშავამ; როგორ შეიხსნეს ამ ქალაქებმა კარები და გასალები მოართვეს დიდ ნაპოლეონს მონურად და მორჩილად.

მაგრამ საოცარი და მოულოდნელი რამ მოხდა, მოსკოვმა დამპყრობელის წინაშე ქედი არ მოიხარა: მტერს გასაღები არ მიართვა.

დიდხანს ელოდა ნაპოლეონი დელეგაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მოსკოვი. სტალინის სახელობის „ვოლგა-მოსკვას“ არხი.

დიდხანს ელოდა ნაპოლეონი დელეგაციას და დიდხანს ვერ უბედავდნენ თქმას, რომ მოსკოვში მოსახლეობა არაა, რომ ხალხს დაუტოვებია თავისი კარი, თავისი დედაქალაქი...

მოსკოვში ცდილობდა ნაპოლეონი ზავის ჩამოგდებას. მაგრამ რუსეთმა ზავი არ შეკრა. პირიქით, ხალხმა ცეცხლი წაუკიდა დედაქალაქს. ცეცხლმა კინღალმ იმსხვერპლა თვით ნაპოლეონი. გაბრაზებულმა და შეშინებულმა მოსკოვი დატოვა და ააფეთქებინა კრემლი.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მოსკოვი სწრაფად განახლდა. გადამწყვარი ხის შენობების ნაცვლად ქვისა ააგეს. ქალაქმა ფერი იცვალა. გაიყვანეს ფართო ქუჩები, გაასწორეს უსწორმასწორი ადგილები, ამოავსეს კრემლის გარშემო ორმოები. მდინარე ნეგლინაკა მილებში მოაქციეს. წითელი მოედანი მოკირწყლეს. გაჩნდა სავაჭრო უბნები, ბაზრები, ახმაურდნენ ქარხნები. ნაპოლეონთან ომებმა მოსკოვი ევროპას დაუახლოვა. ბევრი რამ ევროპიული შეიძინა მოსკოვმა ევროპიდან, როგორც მშენებლობაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ძველმა ბოიარინულმა მოსკოვმა ადგილი დაუთმო ახალს, ვაჭრულ მოსკოვს.

თუ ძველი ბოიარინული მოსკოვი რვაჯერ ჰამდა დღეში, სამჯერ ეძინა, მძიმედ დაბობლავდა დახლართულ ქუჩებში თავისი დიდი მუცლით, ახალი სავაჭრო მოსკოვი ცოცხალ და მომრავ ქალაქად გადაიქცა. ფართოფანჯრებიან სახლებში მეტი სინათლე შემოვიდა. სასწავლებლები მოწაფეებმა გაავსეს, ბოიარინების უმეძრაობამ ადგილი დაუთმო ვაჭრის სიმარდესა და სიმკვირცხლეს. ამ გარდატეხაში ძველი და ახალი მძაფრად ებრძოდნენ ერთმანეთს.

მოსკოვის სწრაფმა განვითარებამ ტრანსპორტის საკითხი მწვავედ დააყენა. კონკა და ტრამვაი უკვე ვერ შველოდა მოსკოვს. წარმოიშვა მეტროს საკითხი.

ახალი მოსკოვი. მეტროს სადგური „მაიაკოვსკი“

დღევანდელი საბჭოთა ადამიანისათვის ძნელად წარმოსადგენია ის საბუთები, რომლის ძალით მეტროს მშენებლობა ჩაშალეს.

„ქალაქის თვითმართველობის უწყებები“ ასე წერდა:

— მეტროს პროექტი რომ განხორციელდეს, ქალაქს ტრამვაის შემოსავალი მოაკლდება.

გაზეთი „რუსკოე სლოვო“ წერდა:

— მეტროს პროექტის ინჟენერი დემონია. იგი გვპირდება ჯერ ქვესკნელში ჩაგაძვრეხთ და მერე ცაში აგაფრენთო.

როცა მეტროს პროექტი უარყოფილ იქნა, ქალაქის თვითმართველობის ოქმში სიტყვა-სიტყვით ასე ჩაწერეს:

— მოსკოვს უკვე აღარ მოელის მეტროს გაყვანის საშიშროება. ამას ჩვენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა ენერგიას უნდა ვუმადლოდეთ. მათ დიდი დრო და ძალღონე დახარჯეს, რომ ქალაქი ამ საქმისაგან დაეცვათ“.

და დარჩა მოსკოვის ქუჩები ტრამვაისა, ვანკების და ლიხაჩების ხელში. ვაჭრობდა მოსკოვი თავისი განთქმული ჩითით, მდიდრდებოდა, სუქდებოდა, ლოცულობდა „ორმოცჯერ-ორმოც“ ეკლესიაში და კვირაობით ქეიფობდა ბარში.

მოსკოველ ვაჭრებს უყვარდათ ქეიფი, ბოშებს სიმღერა და ცეკვა. მოსკოველი ბოშების გუნდები განთქმული იყო მთელ რუსეთში.

5.

მაგრამ ახალი მაინც მოვიდა. ის დაიბადა ქარხნებში, ტანჯვასა და ცრემლში, წამებასა და გაჭირვებაში. ის გაიზარდა, მიუხედავად ციხისა, კატორღისა და საღრჩობელისა. მუშათა მოსკოვის საუკეთესო შვილები შეეწირნენ ამ ახალს, მაგრამ მათ ჭონდათ ღრმა რწმენა, რომ რევოლუცია გაიმარჯვებდა და ახალი ცხოვრება დადგებოდა...

1894 წელს მოსკოვში ჩამოდის ლენინი. აქ დაწერა მან თავისი შესანიშნავი ბროშურა „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ლენინმა ცოცხალი კავშირი დაამყარა მოსკოველ მუშებთან და გააცხოველა მოსკოვის რევოლუციური ორგანიზაციები. დაარსდა მოსკოვის პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მოსკოველ მუშათა კავშირი“.

1905 წელს მოსკოვი გააფთრებით იბრძოდა ბარიკადებზე. შორეულ-აღმოსავლეთში შერცხვენილი

მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა მოსკოველ მუშებს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში მოსკოვის აჯანყებაზე ასე წერია:

„9 დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი შეიარაღებული მუშა გმირულ ბრძოლას აწარმოებდა. ცარიზმმა მხოლოდ იმით შესძლო აჯანყების ჩაქრობა, რომ პეტერბურგიდან, ტვერიდან და დასავლეთის მხარიდან პოლკები გადმოსროლა...

განსაკუთრებით შეუპოვარი და გაფთრებული ხასიათი ჰქონდა აჯანყების კრასნაია პრესნიაში, მოსკოვში კრასნაია პრესნია იყო აჯანყების მთავარი ციხესიმაგრე, მისი ცენტრი. აქ თავმოყრილი იყვნენ საუკეთესო მებრძოლი რაზმები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები. მაგრამ კრასნაია პრესნია დათრგუნეს ცეცხლითა და მახვილით, მორწყეს სისხლით, იგი არტილერიით დანთებული ხანძრის ალში იყო გახვეული. მოსკოვის აჯანყება ჩაქრობილ იქნა.“

მაგრამ მოსკოვი — დიდი რუსი ხალხის გული მაინც ღონივრად სცემდა რეაქციის დროს. არ ყოფილა არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა რუსეთის ცხოვრებაში, რომელსაც არ გამოხმაურებოდა მოსკოვი.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ცეცხლითა და მახვილით მოიპოვა მოსკოვმა. დიდი წინააღმდეგობა გაუწია რევოლუციურ მოსკოვს ბურჟუაზიულმა მოსკოვმა. მოსკოვის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იძულებული გახდა ყუმბარები დაეშინა კრემლისათვის. ერთი კვირის ბრძოლის შემდეგ თეთრები დამარცხდნენ და კრემლზე წითელი დროშა აფრიალდა.

1918 წლის 12 მარტს მოსკოვმა ახალი ისტორია დაიწყო. ამ დღეს კრემლის კარებს შეიარაღებული ავტომობილი მიადგა.

— ვინ მოდის? — და შეიარაღებულმა გუშაგებმა ავტომობილი გააჩერეს.

— სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი, — მოისმა პასუხად.

გუშაგებმა თოფი ხელზე აიტაცეს და ლენინს სამხედრო სალუტი მისცეს. ლენინმა გაიღიმა და თავადაც სამხედრო სალამით უპასუხა.

კრემლში დაჯდა საბჭომსაბჭო. მოსკოვი — ქვეყნის გული — რევოლუციის თავი შეიქნა. დაიწყო მოსკოვის ახალი, შესანიშნავი ისტორია.

დღეს, როცა კრემლის წინ დადგებით და მოგონებაში გადაფურცლავთ ჩვენი ხალხისა და პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიას, როცა გადახედავთ ახალს, გამარჯვებულს, დღევანდელ მოსკოვს, უეცველად გაგახსენდებათ დიდი სტალინის სიტყვები:

„ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნოა და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს. სასიამოვნოა და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვრილა ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუღვრია ... თავისი შედეგები მოგვცა... ეს სულიერად აღაორღმრმელ ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვაძღვრავებს და გვიმატებს კანონიერი სიამაყის გრძნობას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრაზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად“...

6.

მართლაც, რა დიდია ეს კანონიერი სიამაყის გრძნობა! ჩითის მოსკოვის ნაცვლად მეტალურგიული მოსკოვი.

ცასებჯინეები.

შესანიშნავი ქარხნები, თანამედროვე ტექნიკის სასწაული, გიგანტები:

— სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა.

— კაგანოვიჩის სახელობის ბურთობ-საკისურის ქარხანა.

— „დინამო“, სადაც ელექტროძრავები კეთდება.

— „კალიბარი“, სადაც განსაცვიფრებელი სიზუსტის საზომი ხელსაწყოები კეთდება.

— „ბორეცი“, სადაც დიდი ქარხნების მოწყობილობა მზადდება.

— „კრასნი პროლეტარი“, სადაც დაზგები კეთდება...

და რამდენი ერთი უნდა დაასახელო, მოსკოვის ქარხნების სიას რომ გადაშლი?

ან რამდენი ერთი უნდა დაასახელო, მოსკოვის სახე რომ წარმოგიდგეს?

მსოფლიო ხმიანობის საუკეთესო თეატრები...

შესანიშნავი სკოლები, სამკითხველოები...

მეტრო... შესანიშნავი მიღწევა ბოლშევიკური ნებისყოფისა. მოგზაურობთ მიწის ქვეშ და იმდენია სინათლე, რომ დღე გგონიათ. აქ მეტია ხალვათობა, ვიდრე ზევით, მიწაზე.

ვოლგა... მდინარე მოსკვაში შემოსული ვოლგა. უკვე აღარ არის ძველი დაკლაკნილი მოსკვა-მდინარე. მისი ნაპირები გაფსწორებიათ, ბეტონითა და გრანიტით შეუკრავთ.

მოსკოვი, გამარჯვებული სოციალიზმის დედაქალაქი, მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრული ერების ოცნებაა.

მოსკოვი საყვარელი ქალაქი, რადგან აქ რუსი, ქართველი, უზბეკი, ტაჯიკი და საბჭოთა კავშირის ყველა ერის შვილი თავს საკუთარ ქალაქში გრძნობს.

მოსკოვი ჩვენი გულია, რადგან აქ ცხოვრობს დიდი სტალინი...



ქართული ენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ათეული წლის წინათ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს, თვთრ ზღვაში ხმირად დაცურავდა პატარა გემი „ჩაიკა". მისი პატრონი იყო მეთვეზე ვასილ თედორეს-ძე ლომონოსოვი. მეთვეზე ვასილს თან დაჰყავდა თავისი პატარა ვაჟი მიხეილი.

მამა-შვილი თევზაობას დაიწყებდნენ მდინარე ჩრდილო დვინაში. გადავდოდნენ თეთრ ზღვაში, გაცურავდნენ მას და ზოგჯერ ყინულოვან ოკეანეშიც კი ამოყოფდნენ თავს.

აუარებელი ხიფათი ხვდებოდათ გზაში, ხშირად მძვინვარე ქარიშხალი საბედისწეროდ აქანავებდა „ჩაიკას", მაგრამ გამოცდილი მეთვეზე მაინც ახერხებდა განსაცდელისაგან თავის დახსნას.

ვემში ძალიან ხშირად პატარა მიხეილს წოგნი ეპირა ხელში და თავისუფალ დროს გატაცებით კითხულობდა. ეს კითხულობდა თევზაობიდან დაბრუნებულიც. სოფელში გამოირჩეოდა ყველა ვაშვისაგან თავისი განსაცვიფრებელი ცოდნითა და უნარით.

ერთი დღეს მიხეილი საღღაც გაქრა. სოფელში ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერ მიაგნეს. არავინ, ჯარა მამისა, არ იცოდა, თუ სად წავიდა ბიჭი.

მაშინ გლეხის შვილებს არ ეგებულობდნენ სკოლაში. ამიტომ მიხეილ ლომონოსოვმა თავი აზნაურად მოაჩვენა. დაუჯერეს და სასწავლებელში მიიღეს. იქ ლომონოსოვი ძალიან კარგად სწავლობდა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი მთავრობამ გერმანიაში გაგზავნა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. 1736 წ. სწავლობდა მარბურგის უნივერსიტეტში.

ერთხელ გერმანიის ერთ სასტუმროში შევიდა ლომონოსოვი. იქ მას დახვდნენ გერმანელი ოფიცერები. ისინი ჯარისათვის ახალგაზრდებს აგროვებდნენ. დაინახეს თუ არა ჯანღონით სავსე ბიბუკი, გადაწყვიტეს წაეყვანათ ჯარში. ამიტომ იგი საღილზე მიიპატიჟეს. საღილობისას მაგარი სასმელები დაეძალეს. დათვრა ლომონოსოვი, დათვრა ისე, რომ გრძნობა დაეკარგა.

ღილით, როცა გაიღვიძა, თავისი თავი ჯარისკაცის ტანსაცმელში დაინახა. გაბრაზდა ლომონოსოვი, ეჭიზება ოფიცრებს, მაგრამ გვიანღა იყო. მალე სხვა ახალწვეულებთან ერთად ვეზელის ციხე-სიმაგრესთან დაბანაკებულ ლეგიონში გაგზავნეს.

ლომონოსოვს არ უნდოდა ჯარში დარჩენა, განთავისუფლებით კი არ გაათავისუფლებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა გაქცეულიყო და ერთხელ, ღამით, გაიპარა კიდეც.

განთიადისას ზარბაზნის სროლა მოესმა; ჯარისკაცის გაქცევას იუ-



მ. ვ. ლომონოსოვი.

წყვებოდნენ, ეძებდნენ ლომონოსოვს. მან უფრო აუჩქარა ფეხს. მაგრამ ცოტა ხნის მერე ხმაური შემოესმა. მოიხედა, მას ეოსდევნენ ხმალ-ამოწვდილი კავალერისტები. თითქოს ხსნა არსაიდანაა. თითქოს დალუპვა აუცილებელია!

არ დაიბნა ლომონოსოვი, მოიკრიბა მთელი ძალღონე და შურდულივით გაქანდა...

წინ საზღვარია, შეიძლება ის გადალახო და მერე...

აჰა, მიაღწია საზღვარსაც, გადალახა კიდეც და კავალერისტების თვალსაც მიეფარა. ჩაჯდა ბუჩქებში და საღამამდის იქ იყო. ღამით კი პეტროგრადისაკენ გაეშალა.

1741 წელს ჩავიდა ქალაქში.

სამშობლოში მიხეილ ლომონოსოვმა მეცნიერული მუშაობა დაიწყო. სულ მალე მეცნიერებათა აკადემიას ორი დისერტაცია წარუდგინა. მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს, მისი შრომები დაკარეს უქმად და არც კი განიხილეს.

ლომონოსოვს მუშაობა სწყუოდა, სწყურდა მთელი თავისი ენერგია მეცნიერებისათვის შეეწირა. მაგრამ როგორ ემუშავა? საშინელ სიღარიბეში ცხოვრობდა, რუსეთში ქიმიის ლაბორატორია არ იყო. გადწყვიტა ლაბორატორიის მოწყობა. ამის თაობაზე განცხადება შეიტანა, მაგრამ აკადემიაში პასუხიც არ აღირსეს. მერე წელს ისევ შეიტანა განცხადება. კვლავ დუმილით შეხვდნენ ახალგაზრდა მეცნიერს. აკადემიის ლაქია ხელმძღვანელობა ბრძოლა გააჩაღეს მის წინააღმდეგ. ლომონოსოვმა ვეღარ მოითმინა მეტისმეტი თაღლითობა და 1743 წელს ჩხუბი ატეხა აკადემიის ერთერთ სხდომაზე. თქვენ ქუდდები და გაიძვერები ხართო, უთხრა აკადემიის მეთაურებს.

ამის გამო ლომონოსოვი დააპატიმრეს და ნენსტიან სარდაფში ჩასვეს, შვიდ თვეს იჯდა იქ, მერე გათავისუფლეს.

ახალგაზრდა მეცნიერმა მაინც განაგრძო ბრძოლა ლაბორატორიის მოსაწყობად. გვიან, 1746 წელს, გადაწყვა ლაბორატორიის მოწყობა. ორი წლის შემდეგ კიდეც დამთავრდა მისი მოწყობა. ამ დროს მიხეილ ვასილის-ძე უკვე პროფესორი იყო; ის 1745 წელს დანიშნეს პროფესორად.

აუარებელი საკითხი დაამუშავა ქიმიაში ლომონოსოვმა, აუარებელი ახალახალი აღმოჩენა მოახდინა. მაგრამ მისი აღმოჩენები ხშირად უყურადღებოდ რჩებოდა. მაგალითად. ნივთიერების მარადისობის კანონი. რომელიც ლავუაზიეს კანონით იყო ცნობილი, ლომონოსოვმა აღმოაჩინა თავის დროზე.

ბევრი აღმოჩენა მას ჰქონდა ფიზიკაშიც და მეცნიერების სხვა დარგში. იგი მუშაობდა შავი მეტალურგიის განვითარების საკითხებზე, ფარდი მეტალურგიის განვითარების საკითხებზე, მინის მრეწველობის განვითარების საკითხებზე...

მეცნიერების მრავალ დარგში მოღვაწეობდა მიხეილ ვასილის-ძე ლომონოსოვი. იგი იყო გენიალური ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, გეოგრაფი, ასტრონომი, პოეტი, გეოლოგი, მეტეოროლოგი, გამომგონებელი...

მან შექმნა პირველი უნივერსიტეტი, „უკეთ რომ ვთქვაო, იგი თვითონ იყო ჩვენი პირველი უნივერსიტეტიო, ამბობდა პუშკინი ლომონოსოვზე. პუშკინისავე სიტყვით, ლომონოსოვმა აღმოაჩინა რუსული პოეტური ენის ჭეშმარიტი წყაროები.

ლომონოსოვი დაიბადა 1711 წ. ცხრამეტ ნოემბერს, გარდაიცვალა 1765 წლის თხუთმეტ აპრილს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთიანად მეთაურობა
ლენინ-სტალინისა

პიონერი

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
საკ. განსახკომის ყოველთვიური ჟურნალი

აპრილი 1940 წ. № 4

„ПИОНЕРИ" журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии

კომშეკმლობა „კომუნისტი", redakcia მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

მარაგი

		გვ.
1.	ვ. ზოშჩენკო, — როგორ სწავლობდა ლენინი (წერილი თარგმნა რუსულიდან ა. ნ-მა)	1
2.	ვლ. მაიაკოვსკი, — სიმღერა ელვა (ლექსი თარგ. მ. პატარაიძისა)	3
3.	დიდი ანდერსენ ნეკნი, — მე ვიყავი საბჭოთა კავშირში (წერილი)	4
4.	არნო ონელი, — ველად გავალ (ლექსი)]	5
5.	სანდრო ჟღენტი, — გაზაფხული სანაპირო ბაღში (ლექსი)	5
6.	თუარმან შანშიაშვილი, — მეგობრები (მოთხრობა)	6
7.	როდიონ ქოტაძია, — მოსკოვი (ნარკვევი)	10
8.	პირველი რუსი მეცნიერი (წერილი)	16
9.	თ. შავერზაშვილი, — მაისი (ნოტი)	გარეკანის მე-2 გვ.
10.	საამაყოა მკერდით ატარებდეთ ამ ნიშნებს	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. ი. ქოქიაშვილისა. და ვ. ჯაფოშვილის მიერ

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ვ. ჯაფოშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი—ან. ლულარიძე პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ნირაბელაძე

გადაეცა წარმოებას 8/III 1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV 1940 წ.

ქაღალდის ზომა 62×92
ფორმათა რიცხვი 20 გვ. 9½×14

მთავლიტის რეფერენდული № 315 შეკვ. № 553 ტირაჟი 17.000 პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამაყოა მკერდით აჭარებდეთ ამ ნიშნებს!

ნიშანი: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისთვის“.

ფაფიადი ნიშანი: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისთვის.

ნიშანი: „იყავ მზად ქიმიური თავდაცვისთვის“.

ნიშანი: „იყავ მზად სანიტარული თავდაცვისთვის“.

ნიშანი: „ნორჩი მეზღვაური“.

ნიშანი: „ნორჩი ვეტერინარ-ლოგიესტი“, „ბრიგადელი“.

ნიშანი: „ნორჩი ავიაშენებელი“.

Я. ... П 16
ПЕЧАТАЕТСЯ ПО Я.87
Г. С. ПУСТ ВИЗ.ЖЕ